



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N33

2015 წელი 24 აპრილი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ზოგიერთი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, რათა შეტანილ იქნეს ცვლილება შპს „დუშეთის აგრარული ბაზრის“ [ს/კ429320503] წესდებაში. კერძოდ:

ა) წესდების მე-2 მუხლის 2.5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „საზოგადოება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, დამფუძნებლის გადაწყვეტილებებით“;

ბ) წესდების მე-5 მუხლის 5.1 პუნქტი ნაცვლად, პირვანდელი ფორმულირებისა „საზოგადოების დამფუძნებელია დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო“ შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „საზოგადოების დამფუძნებელია დუშეთის მუნიციპალიტეტი“;

გ) წესდების მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 6.3 პუნქტი: „წესდებით დამფუძნებლის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი. მათ შორის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის და საწარმოს კაპიტალში ცვლილების თაობაზე გადაწყვეტილებას გამგებელი იღებს საკრებულოს თანხმობით, ხოლო დანარჩენ საკითხებზე - ერთპიროვნულად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;“

დ) წესდების მე-7 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „შპს „დუშეთის აგრარული ბაზრის“ დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დამფუძნებელი“;

ე) წესდების მე-10 მუხლის 10.1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „საზოგადოების დირექტორს საკონტრაქტო საფუძველზე თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დამფუძნებელი“;

ვ) წესდების მე-15 მუხლის 15.1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „საზოგადოების კონტროლს ახორციელებს დამფუძნებელი“;

2. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, რათა შეტანილ იქნეს ცვლილება შპს „ტექსერვისის“ [ს/კ429320530] წესდებაში. კერძოდ:

ა) წესდების მე-2 მუხლის 2.5 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „საზოგადოება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, დამფუძნებლის გადაწყვეტილებებით“;

ბ) წესდების მე-5 მუხლის 5.1 პუნქტი, ნაცვლად პირვანდელი ფორმულირებისა, „საზოგადოების დამფუძნებელია დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო“ შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „საზოგადოების დამფუძნებელია დუშეთის მუნიციპალიტეტი“;

გ) წესდების მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 6.3 პუნქტი: „წესდებით დამფუძნებლის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი. მათ შორის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის და საწარმოს კაპიტალში ცვლილების თაობაზე გადაწყვეტილებას გამგებელი იღებს საკრებულოს თანხმობით, ხოლო დანარჩენ საკითხებზე ერთპიროვნულად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით“;

დ) წესდების მე-7 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „საზოგადოების დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დამფუძნებელი“;

ე) წესდების მე-6 მუხლის 6.1 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან“

ვ) წესდების მე-6 მუხლის 6.1 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ზ) წესდების მე-11 მუხლის 11.1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „საზოგადოების კონტროლს ახორციელებს დამფუძნებელი“;

3. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, რათა შეტანილ იქნეს ცვლილება შპს „ავტოსატრანსპორტო საწარმო 2006-ის“ [ს/კ229323666] წესდებაში. კერძოდ:

ა) წესდების პირველი მუხლის 1.3 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „საზოგადოების დამფუძნებელია დუშეთის მუნიციპალიტეტი“;

ბ) წესდების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.5 პუნქტი: „წესდებით დამფუძნებლის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი. მათ შორის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის და საწარმოს კაპიტალში ცვლილების თაობაზე გადაწყვეტილებას გამგებელი იღებს საკრებულოს თანხმობით, ხოლო დანარჩენ საკითხებზე ერთპიროვნულად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;“

გ) წესდების მე-5 მუხლის 5.1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „საზოგადოების მართვას ახორციელებს დამფუძნებელი საზოგადოების დირექტორის მეშვეობით“;

დ) წესდების მე-13 მუხლის 13.1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „საზოგადოების საქმიანობის კონტროლს ახორციელებს დამფუძნებელი“;

4. განკარგულება გასაცნობად გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი